ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 204 სექტემბერი 28, ხუთშაბათი 1889 სექტემბერი 28, ხუთშაბათი № 204

ბაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში. სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სა პოლიტიკო და სა ლიტერატურო გაზეთი 1877—1889

## სასწავლებელი და პანსიონი

ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის მოწაფეებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(15—12)

## ახალი ამბავი

*** ორშაბათს, 25 სექტემბერს, ჩვენს ქალაქის საბჭოს მეორე კრება ჰქონდა კანიკულებს შემდეგ და ამ კრებაზედ თავმჯდომარედ იყო პ. ა. იზმაილოვი. უპირველეს ყოვლისა წაკითხულ იქმნა მოხსენება გამგეობისა იმის შესახებ, რომ ტფილისის ბაზრებში სასწორი გაიმართოს თივისა და ბზის ასაწონადაო. მოხსენებიდგანა სჩანს, რომ ვიღაც ოდესელს ინჟინერს კატცს ქალაქის გამგეობაში წინადადება შეუტანია, რომ მე გავმართავ ქალაქში თივისა და ბზის ყანთარებს სამს ალაგას შემდეგის პირობებით: 1) სასწორი უნდა გაიმართოს სამს ადგილას გამგეობის სურვილისამებრ; 2) თითო ურმის თივისა, ან ბზის აწონვა უნდა ღირდეს ერთი აბაზი; 3) კონცესიის ვადა ათი წელიწადი უნდა იყოს; 4) საერთო შემოსავლიდგან 10% ქალაქის სასარგებლოდ უნდა გადაიდვას და 5) ათის წლის შემდეგ სასწორები ფარდულებითურთ ქალაქის საკუთრება უნდა შეიქმნას. გამგეობა იმ აზრისა იყო, რომ კატცს უნდა მივანდოთ ეს საქმე, ხოლო ცოტა შეცვლილის პირობებით-კიო. საბჭომ, ხოსანთა მაჩაბლისა და მ. ი. თამამშოვის აზრისამებრ, დაადგინა, რომ სასწორები თვით ქალაქმა გაჰმართოს და თვითვე აწარმოვოსო.

მეორე საყურადღებო საქმე, ამ დღეს ქალაქის მიერ გარჩეული, იყო თხოვნა ზაალ ხერხეულიძისა, რომ ქალაქმა მწყნეთის ქუჩა მოჰკირწყლოს ქვით და დასაფასებელი ფული არ ართვას ამ ქუჩის მამულის პატრონთ, ვიდრე ქუჩა გაყვანილი არ იქნებაო. საბჭომ დაადგინა: წყნეთის ქუჩა მოიკირწყლოს, თუ თ. ხერხეულიძე და სხვა მამულის-პატრონები თხოვნაში დაპირებულს 472 მან. 25 კაპ. შემოიტანენ, რომელიც იმათ ედებათ ვალად, რადგან მთელის ქუჩის გაყვანა 1422 მან. 75 კაპ. დაჯდებაო, ხოლო თხოვნის მეორე ნაწილი დასაფასებელ ფულის გამოურთმევლობაზედ-კი უყურადღებოდ იქმნას დატოვებულიო.

*** გუშინ-წინ, სამშაბათს, 26 სექტემბერს, ქართულ თეატრის არტისტებმა წარმოადგინეს ოთხ-მოქმედებიანი დრამა ნევეჟინისა „მეორედ გაყმაწვილება“, თავ. დ. ერისთავისგან გადმოკეთებული, და ერთ-მოქმედებიანი დრამატიული ეტიუდი „გულმა იგრძნო“. არტისტებმა მეტად მწყობრად თამაშობდნენ, კარგად ჩაატარეს როგორც პირველის, აგრეთვე მეორე პიესის წარმოდგენა. ჩვეულებრივი როლების უცოდინარობა, სცენაზედ შეუფერებელის ტანისამოსით გამოსვლა და სხვა ამ გვარი ნაკლულევანება არტისტებს თავიდგან აეცილებინათ და ეტყობოდათ, რომ ძალიან ცდილიყვნენ რიგიანის წარმოდგენის გამართვისათვის. საუბედუროდ, თეატრში ძალიან ცოტა ხალხი იყო, ასე რომ ლაზათიანის წარმოდგენით მეტად ცოტამ ისიამოვნა. მეორე წარმოდგენისათვის ქართულის თეატრის არტისტები ამზადებენ სარდუს სამ-მოქმედებიანს პიესას: „უნდა გავიყარნეთ“.

*** ტფილისის ქუჩებზე იმ თავითვე თავი მობეზრებული გვქონდა სხვადა-სხვა რჯულ და გვარ გლახებისაგან, რომელნიც გამვლელ-გამომვლელს თითქმის ყოველ ქუჩაზედ წინ უხვდებოდნენ და არ ეშვებოდნენ. ამ გლახების საქციელს რამდენჯერმე მიაქციეს ტფილისის გაზეთებმა ყურადღება, მაგრამ არა ეშველა-რა ამ საქმეს. შველის მაგიერ, პირ-იქით, ეხლა გლახებს გიჟებიც მიემატნენ, სულით ავადმყოფნი. ტფილისის ქუჩებზე აგერ რამდენი ხანია ვიღაც რუსის დედაკაცი დადის ფეხ-შიშველა, შემოგლეჯილის კაბით და თავზედ ყვავილებით დაწნულ გვირგვინით, ტალახში ამოსვრილი და ამოწუმპლული. ეს დედაკაცი თითქმის ყველა გამვლელ-გამომვლელს ელაპარაკება, იგინება უშვერის სიტყვებით და ხან კიდევ ხმა-მაღლა რაღასაც იმღერის. ამას წინად კიდევ ალექსანდრეს ბაღში ვნახეთ ერთი თერთმეტ-თორმეტის წლის სომხის ყმაწვილი. ეს ყმაწვილი სულით არის თურმე ავადმყოფი, გრძელ ამერიკის პერანგის ამარა დადის, რაღაც უაზრო სიტყვებს ბუტბუტებს და უმიზეზოდ ხტუნაობს და სცეკვავს. ნუ თუ დრო არ არის, რომ ამ უბედურებს ყურადღება მიაქციონ და თავ-შესაფარებელი ბინა აუჩინონ სადმე?!

*** 26 ამ თთვისას ოდესიდგან ჩამოვიდნენ იქაურის უნივერსიტეტის პროფესორები: ზოოლოგი ბ-ნი კოვალევსკი და ხიმიკოსი ბ-ნი პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი. ამ ორ მეცნიერთ მონაწილეობა უნდა მიიღონ იმ კომისიის შრომაში, რომელმაც საშუალება უნდა აღმოაჩინოს ფილოქსერის წინააღმდეგ.

*** კავკასიის სამეურნეო გამოფენის კასსაში ამ თთვის 15-დგან შესულა ცხრაას ორმოც თუმნამდე ფული.

*** ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ 1-ლ ოქტომბერს მი-

## ფელეტონი

### სახალხო ლექსები

(შეკრებილი სოფელ ახალქალაქის მიდამოში ახალქალაქის სკოლის მასწავლებელ ნ. ხუციშვილის მიერ)

მიდის-მოდის მერცხალა
ულელ აყრილ ხარითა,
სირცხვილ, ნამუს გავიტეხე
კვრიკაიას ქალიეითა;
ორთავ ერთად ცხენა იყო
და ქანაობს წყალიეითა,
გულის-პირში ხელ მომიხვდა,
ძუძუნ ასხდა ტალიეითა*).

—

ჩამოვხედ იალმოზედა,
ერწოვ, გაგწირე, ტიალო!
რა ჯავრი გამამყოლია,
მთიულის ქალო თმიანო!
ბევრჯელ გეპარე ძროხებში,
უცურდის მეძახიანო.

—

ვაქკაცს ცოლისა სიავე
შუა გზას მოაგონდება,
წაილებს საგონებელი,
გზას იქით გადავარდება.

—

იარე, ქალო ქერაო,
შენც ობოლი ხარ, მეცაო;
ძუძუებს ხელის ჩაყოფა
შენც გიამება, მეცაო.

—

გოგო, უნდა გეშეირო,
მაგრამ გულში ხინჯი მაქვსო:
მამიშენის რიდი მქონდა,
დედიშენის ხათრი მაქვსო.

—

ღმერთო! ნუ მისცემ ვაჟკაცსა
ცოლსა ყბედსა და მძინარსა;
ის მოჰკლავს, ის დააბერებს,
ის მისცემს წყალსა მდინარსა.

—

ლამაზმა ქალმა დამწყევლა,
ხელ-შეღებილმა ინითა,
ნეტავი იმას შემყარა,
ზარხოშად ვიყვე ღვინითა.

—

ნეტავ, გოგო, ფიფქი იყვე,
ხევ-ხევ ჩამოჰყვე ნიავსა,
არც არა შენ დაგიშავდეს,
არც მე ჩავვარდე ზიანსა.

—

ქალო, შენი ეგე მიყვარს
ერდო-ერდო სიარული,
ტან-ჩაცმა და თავ დახურვა,
თეთრი პირი, მხიარული.

—

გაზაფხულისა პირზედა
შაშვმა დაიწყო გალობა...
როგორც მე დამწვი, დამდაგე,
დაიწვას შენი ქალობა.

—

გაველ ხესა, გავკრავ ხელსა
ქერქეჭინა ფიჭვისასა...
არ ვიკადრებ შეხვევნასა
შენისთანა ბიჭისასა.

—

ბაღჩაშია გადვიხედე,
გადმიპატიჟა იამა.
ყაყაჩო აყვავებულა,
ვარდი გაშლილა, მიამა.

—

ლამაზმა სთქვა: ბნელსა ღამეს
მე არ მინდა ფარანიო,
მე ისეთი ბიჭი მინდა,
პირს არ ესხას ბალანიო.

—

ტირიან თუშის ქალები,
არ მოგვივიდნენ ქმარები;
ვაი თუ ლეკნი დაუხვდნენ,
დაგვიყრევინეს თავები.

—

ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველ,
თერგის ქვეყნები ვნახეო;
სულ დავიარე ხმელეთი,
ვერ ვნახე შენი სახეო.

—

ანთებულ სანთელს გამგზავსე,
ცისკრის ლოცვაზე გნახეო;
ხელში გეჭირა ყმაწვილი,
სწორედ ვერ დაგინახეო.

—

გზა სიარულმა დაადნო,
სიპი ქვა წყალთა დენამა,
ბიჭი, ან გოგო დაადნო
ერთმანეთისა ცქერამა.

—

ქალმა ჩიქილის ქნევითა—
მე იმ ბიჭს შევიყვარებო,
შორით დავწვავ, ან დავდაგამ,
ახლო არ მივიკარებო.

—

მინდორში მაშვენებელო
მშველო, არჩვო და ჯერანო,
გოგო, მწამებენ შენს თავსა,
ვფიცავ და არას ჯერათო.

—

ალმასის ფანჯარაშია,
ქალ, დაგინახე პირი მე;
დღისით მკლავს სურვილი შენი,
ღამე ვზივარ და ვსტირი მე.

—

ლალი, ბროლი, მარგალიტი
ალმასიდგან გაითლება...
ჩემი გული, შენგნით მკვდარი,
წავა, მინდვრად გაიშლება.

—

შენ, ქალო, წყაროს წყალი ხარ,
მოდიხარ ოქროს მილითა;
უკვდავებისა წყარო გაქ,
გაქ და არ მასმევ, ძვირი ხარ;
ნეტავი იმი დედასა,
ვინც შენთან გაძლეს ძილითა.

—

არ ვარგა მთიულის ქალი,
ჩიქილა ჩამოფხატული,
აგრეთია ბარის ქალი,
თვალ წარბში გამოხატული.

—

გენაცვალე, თეთრო პურო,
ანაცერო დიკისაო...
გოგო, შებრალება გქონდეს
ჩემისთანა ბიჭისაო.

—

მინდორში ბალახ-ბულახო,
პატარა ნარის ეკალო...
გოგოვ! ვისი ხარ ლამაზო;
ძუძუებს ამოგეკარო.

—

ქარი ქრის, ალვის ხე იძვრის,
ტოტი ჩინურად დახრილი,
იმის ქვეშ ერთი ქალი ზის,
თმა დალალ-კულულ დაყრილი;
იმას ის ბიჭი წაიყვანს,
ჩოხის ყურ-მაჯებ შეყრილი.

—

ოქრო ოქროს შეუწონე,
მარგალიტი მინასაო,
ნათლი-დედის სილამაზე
არას არგებს სვინასაო.

—

მარტია, ქალი ლამაზი,
დღეში სამჯერ მოირთვება;
ხან დარია, ხან ავდარი,
ხან ქარბუქად გადიქცევა.

—

ვაი შენ, წუთი-სოფელო,
დამცადე ათას ფერადა,
ხორცო, გასუქე, გალაღე,
სულო, შეგიდეგ მტერადა.

—

ადრიან ადექ, დედაო,
ადრე გვიმზადე სადილი:
ან ომში დაგვეიძახებენ,
ან ტყით გამოვა ნადირი.

—

ვაჟკაცს რა გამოადგება,
სოფელს შვენება თავისა;
უნდა რო ხმალი უჭრიდეს,
იმედი ჰქონდეს მკლავისა.

—

ჩამოსხდებიან ყორნები,
არ გაუშვებენ ძერასა...
კაცი ვერსადა წაუვა
თავის ბედისა დაწერასა.

—

სახელი გამომიცვალეს,
ახლა დამარქვეს ფიწაო;
ზოგი კაცი აქ რას ხაროზს,
ის დასაწვავის დღისაო,
მოვკვდებით, გადავბრუნდებით,
მიწა აგვივსებს პირსაო.
ჩვენი სამკვიდრო რა არის?
მამა, ძე, დედამიწაო.
კაცი უნდა გულ-კეთილი,
გაშლილი გუნებისაო,
ენა-ტკბილად მოუბარი
და სიტყვა-პასუხისაო;
ებრალებოდეს გლახაკი,
მოყვარე იყვეს ღმთისაო...

*) ახალქალაქს ახლო მთაში სცხოვრობენ მთიულნი, რომელნიც გუდამაყრიდამ არიან გადმოსახლებულნი.

სი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი პალადი გადაიხდის მცხეთის ტაძარში წირვას და შემდეგ აკურთხებს მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერში ახლად დაარსებულს დედათა სასწავლებელსაო. სასწავლებელში იქნება, გარდა მოსამზადებელის კლასისა, სამი ნორმალური კლასი თითო წლის კურსით. სასწავლებელში, ობოლთა და ღარიბთა ქალთა აღსაზრდელად, ჯერ-ჯერობით ექვსი ვაკანსიაა—სამი სასულიერო წოდებისა და სამიც თავად-აზნაურთა და სხვა წოდებისათვის. წლის ფასი სრულის ხარჯისა დადებულია 120 მან., ნახევარ ხარჯისა-კი (სასწავლო წიგნები, რვეულები და სხ. სასწავლებლისაა)—80 მან. ნახევარი ამ ფულისა შეიტანება ამ თავითვე და ნახევარიც—1890 წლის იანვარში. ვისაც სურს თავიანთი ქალები მიაბარონ პანსიონში, უნდა წარადგინონ სასწავლებელში არა უგვიანეს 29 ამ სექტემბრისას.

*** მკითხველებმა იციან, რომ წელს ტფილისში იმართება მიწისმზომელთა სკოლა. ამ სკოლაში შესვლის მსურველი იმდენია, რომ ყოვლად შეუძლებელია ყველას მიღება. ვაკანსიების უქონლობამ გამოიწვია სასტიკი ეგზამენები. ეს იყო მიზეზი, რომ გუშინ თითქმის ოც-და-ათი ყმაწვილი უკანვე დააბრუნეს: ეგზამენიებს ნულარ განაგრძობთ, ვინც რუსულს „დიქტანტში“ ცუდი ნიშანი მიიღეთო. ამათში მომეტებული ნაწილი ქართველობაა, ქუთაისის გუბერნიიდგან ჩამოსული.

*** კავკასიის სამეურნეო გამოფენა კიდევ ვერ შევსებულა და ყოველ დღე ჰგზავნიან ნივთებს სხვა-და-სხვა ადგილიდგან ექსპონენტები. მაგალითად, გუშინ-წინ გამართა მშვენიერი ვიტრინა მთელს რუსეთში გამოჩენილმა არაყისა და სხვა მაგარ სასმელების შტრიტერის ქარხანამ. სამწუხარო ის არის, რომ იქ, საცა უცხოელთა ვხედავთ, ზოგს ადგილობრივს მწარმოებელს, არ ვიცით-კი რა მიზეზით, თავისი ნაწარმოები არ გამოუტანია გამოფენაზე.

*** ტფილისის გუბერნიის ქალაქებს უმაღლესის მთავრობისაგან ჰქონდათ დავალებული პოლიციის შენახვა. რადგან მოსალოდნელი იყო, რომ ქალაქები თავის დროზე ვერ შეიტანდნენ ხაზინაში პოლიციის მოხელეთა შესანახს ფულს, თვით მთავრობამ იკისრა ყოველ თთვე ჯამაგირის ძლევა, იმ პირობით-კი, რომ ქალაქებმა წლის განმავლობაში შეავსონ ხვედრი ფულიო. დრო და ხანი გადიოდა და ქალაქებმა, როგორც, მაგალითად, გორმა, თელავმა, სიღნაღმა, ახალციხემ, ახალქალაქმა და დუშეთმა, ვერ შეიტანეს სრულად პოლიციის სამმართველოსა და იმის მოხელეთა შესანახი ფული, ასე რომ დიდი „ნედოიმკა“ დაედოთ, რომლის რაოდენობაც ქ. გორში და ახალციხეში უდრის თითქმის 50—60 ათას მანეთს. ზემო-ჩამოთვლილს ქალაქებს არავითარი შეძლება არა აქვთ მცირე შემოსავლის გამო, რომ გადიხადონ მთავრობის ვალი, და ამისათვისაც, როგორც შევიტყეთ ნამდვილის წყაროდგან, ტფილისის გუბერნიის სამმართველო შუამდგომლობს უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ ეს ფული ან სრულიად და ან ნახევრად მაინც ეპატიოს. ნაკლები ვალი არც ტფილისის მოქალაქეთ დასდებიათ, აქ „ნედოიმკის“ რაოდენობა აღემატება 200,000 მანათს. ტფილისის გუბერნატორი შუამდგომლობს უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ ნახევარი ამ უშველებელის ვალისა ეპატიოს ქალაქელებს და ნახევარი გადახდეს ათის წლის განმავლობაში.

*** ხოხუმი: როგორც იყო გვეშველა და ჩვენც ვეღირსა სტამბა. ბათუმელმა მესტამბემ ალ. მახარაძემ გამართა აქ თავისის სტამბის განყოფილება, რომელიც, იმედია, დიდს შეღავათს მოგვცემს, რადგანაც დღემდე, თუ რამ დასაბეჭდი გვქონდა, ბათუმში და სხვაგან ვგზავნიდით.

*** დ. ახალ-სენაკი (სამეგრელო): 1-ლს ოქტომბერს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი აკურთხებს სახარბედიოს დედათა მონასტრის ახლად აშენებულს ტაძარს.

*** გორი: როგორც მკითხველებმა იციან, გორის მოურავად აირჩიეს ფოთში მოურავად ნამყოფი გენერალ-მაიორი გრ. ვახრამოვი. არჩევანი ძალაში შევიდა და ქალალდი წარუდგინეს დასამტკიცებლად ბ-ნს ტფილისის გუბერნატორს. დამტკიცებას დღე-დღეზე მოელიან.

*** ხოხუმი: გუდაუთის მახლობლად აღმოუჩენიათ ვერცხლისა და ტყვიის მადანი. მუშაობას უკვე შესდგომიან.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

გორი, 25 სექტემბერი. დიდის ხნის მოლოდინი შეგვისრულდა. გუშინ, 24-ს ამ თთვისას, ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსმა ალექსანდრემ აკურთხა გორის სასულიერო სასწავლებლის ეკკლესია. სასწავლებლის გამგეობამ დაამზადა ყველაფერი, რაც-კი საჭირო იყო ეკკლესიისა და კურთხევისათვის და შეატყობინა საქართველოს ეგზარხოსს პალადის, რომ მობრძანებულიყო. ყოვლად უსამღვდელოესი პალადი ვერ მობრძანდა სხვა-და-სხვა გარემოების გამო და ეკკლესიის კურთხევა მიანდო გორის ეპისკოპოსს ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს, რომელიც ჩამოვიდა გორს შაბათს საღამოს. რკინის გზის სადგურზედ დაუხვდნენ ყოვლად სამღვდელოს გორის სამღვდელოება, სასწავლებლის უფროსი დ. დ—ი მასწავლებლითურთ. ყოვლად სამღვდელო პირდაპირ სასწავლებელში წავიდა და ცოტა ხნის შესვენების შემდეგ დაიწყეს ღამის თევით ლოცვა. ეპისკოპოსს თან ახლდა დეკანოზი გრ. პეტრიაშვილი, ორი მთავარი და სხვ. კვირა დილით, ოც-და-სამს სექტემბერს, დილის ცხრა საათზედ, შეუდგნენ ეკკლესიის კურთხევას საეკკლესიო წიგნების ქართულს ენაზე მთარგმნელის წმიდა გიორგის მთაწმინდელის სახელობაზედ. როგორც ვიცით, გიორგი მთაწმინდელის სახელობაზე არსად არ არის აგებული ეკკლესია. ეს პირველი ეკკლესიაა სახელოვანისა და საქართველოსათვის ფრიად შესანიშნავის წმიდა კაცის სახელობაზე, რომელსაც გიორგი მთაწმინდელად და მთარგმნელად იხსენიებს ჩვენი ეკკლესია. მიზეზი იმისი, რომ სასწავლებლის გამგეობამ გადასწყვიტა წმ. გიორგის სახელობაზედ აეგო თავისი ეკკლესია, იყო შემდეგი: სასწავლებლის ახალის შენობის საძირკველი ჩაჰყარეს 13 მაისს 1888 წლისას. ამ დღეს საქართველოს ეკკლესია იხსენიებს ქართველ მთარგმნელებს ექვთიმეს, გიორგის და სხვებს. ამათში გამგეობამ აირჩია გიორგი, როგორც ყველაზე შესანიშნავი და ღირს-სახსოვარი.

როდესაც მორჩნენ კურთხევას, მთელი სამღვდელოება, მისი ყოვლად უსამღვდელოესობა, სასწავლებლის მოსწავლენი და მასწავლებელნი, მგალობელთა გუნდი და დიდ-ძალი ხალხი გამოვიდა ახალის ეკკლესიიდგან და წავიდნენ გორის საკრებულო ეკკლესიაში, რომელიც სასწავლებლიდგან კარგა დიდს მანძილზე მდებარეობს. იქიდგან წამოასვენეს წმინდა ნაწილები, რომელიც ჩააწყეს ახლად ნაკურთხის ეკკლესიის ოდიკში. გზა-გზა ხალხი ემატებოდა, ასე რომ ქუჩებში ტევა არ იყო. როდესაც კურთხევას მორჩნენ, მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ რუსულად წარმოსთქვა მოკლე სიტყვა ეკკლესიის მნიშვნელობაზე; მიჰმართა მასწავლებელთ და მოსწავლეთ, რომ ერთგულად და ერთსულად მოჰკიდონ საქმეს ხელი; ამ ახალს სახლში სარწმუნოება და მეცნიერება ერთად მოთავსებულნი და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი უნდა იყვნენო.

ეპისკოპოსმა დაასრულა თავისი სიტყვა შემდეგის ღირს-შესანიშნავის ამბით: მე ვარ გორის მაზრისა, გორის ეპისკოპოსად ვითვლები და მსურს სასწავლებლის ახალის ეკკლესიის აშენების დღევანდელი დღესასწაული ღირს-სახსოვრად გავხადო. მე ვაფუძნებ დღეიდგან საუკუნოდ ერთს სტიპენდიას ჩემს სახელობისას. ამ სტიპენდიით უნდა იზრდებოდეს ერთი მოსწავლე სასულიე-

---

ჰეშმარიტად ის ცხონდება,
ბინა აქვს სამოთხისაო.

—

სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს:
რა ხელს მოგცემს ჩემი ბრძოლა;
წაგაქცევ, იმდენს გაკვნესებ,
მოგეწყინოს გვერდზედ წოლა;
ისეთს მიჯნურს მოგაშორებ,
ვით შეკრული ვარდის კონა.

—

სიკვდილო, სიცოცხლისათვის
თავსა ვერ მოგცემ მუდამა;
მაინც არ შეგეპუები,
თავით რო მედოს სუდარა.

—

არ გაურდი დედასა
მელორისთანა ცუდიო,
დაიარება მინდორში,
ჩამოუფხატავს ქუდიო.

—

მთიდგან წამოვა ღრუბელი,
თავდალმა დაეკიდება..
კაცი რომ თავის თავს უზამს,
მტერი არ მოეკიდება.

—

კაცი გამოვა კაცობრივ,
წვერი არ დაეხავსოსა;
თხასაც ასხია ბალანი,
მაზმანმა დააფასოსა.

—

მჭედელო, განა რკინასა
სპილენძი არ გაერევა;
მანგლის ბევრი პური მოვა,
მაგრამ ღვარძლი მოერევა;
რა გინდ არჩიო თითითა,
სულაც არ გამოელევა.

—

ქვახრელელებს ფაფა უყვართ,
სასირელებს ყალიაო...

მეტეხში კაცი არ არის,
არ ემართოს ვალიაო.

—

შენი ძმობის სიყვარული
გუნებაში ჩამიგდია;
ჭორი ბევრი გავიგონე
მაგრამ ყური არ მიგდია.
თუ რომ გულით არ მიყვარდე,
ჩემი რჯული დამიგდია.

—

თუში ტიროდა მთაზედა,
თავის ძმის ნაომარზედა,
მოეკლა ორმოცი თურქი,
ზედ დაეწერა ქვაზედა.

—

თრიალეთის ყარაულებს,
ლეკები დახვედრიანო,
თითოს მოუკლავს შვიდ-შვიდი,
ბიჭობაც ამას ჰქვიანო.

—

სანთლის გუთანს ავაშენებ,
შიგ შევაბამ ულელ დევსა;
ზღვაში ეხნავ და ზღვაში ვთესავ,
მშრალზედ ეინადირებ თევზსა;
ყინულზედ კალოს გავლეწავ,
მორევში-კი ჩავყრი ბზესა.

—

მიქელმა და გაბრიელმა
ზღვაზედ გამართეს ყანთარი,
უფალმა გადმოიხედა,
ამდონი ცოდო რათ არი?

—

ანგელოზის წირვა დადგა,
როდეს დაჰკრავს ნინო ზარსა;
ცხეთის ქალაქს მირონი დუღს,
ყველგნივ გააქვს ნიავ-ქარსა;
გარს გუმბეთსა, სვეტს ეხვევა,
ვით რომ ნორჩი ვაზი სარსა;
იმის მადლი შეგვეწევათ,
საცა წირვა-ლოცვა დგასა.

—

მასპინძელო, ჩვენო ლხინო,
მარნის კარი გიჭრიალებს;
უხადი ქვევრი მოხადე,
ყელი ჩაგვიმაჭრიანე.

—

სტუმრისა მიყვარს სტუმრობა,
სტუმრისა არ ნახულისა...
დააპო ურმისა ხუნდი,
ცეცხლი დამინთო გულისა.

—

ქორო, ფრინვა ვინ გასწავლა,
შავარდენო—ნადირობა,
გლეხო კაცო—მუშაობა,
აზნაურო—გაზდილობა?

—

აზნაურისა ყმობითა
ფქვილი ვერ დავდგი გოდრითა,
ვერცა შევაბი გუთანი,
ვერც კალო ვლეწე მოზვრითა

—

ოსო, ქარჯინით გაძღარო
და იმერელო—ღომითა,
თუშს რომ ნაბდის ძველი ასხა,
იმას ვინა სჯობს ომითა.

—

ურუმის მთაზე შემოვდექ,
სევდა ავყარე გულისა,
დავაგდე ქაჯეთ ქვეყნები,
დამწვარი, დადაგულისა;
ვინც იყვეს მათი მოყვარე,
იყვეს მაჰმადის რჯულისა.

—

კაცი უნდა მართლის მთქმელი,
მას ტყუილი არ ერიოს;
კაცი რო კაცს მოერიოს,
უნდა ღმერთი მოიგონოს.

—

ვაიმე, დედის ამაგსა,
რომ ვერ გადვიხდი, რა ვუყო?
ზურგს ავიკიდო საბლითა,
რო ვერა ვზიდო, რა ვუყო;
დავემხო დედამიწასა,
ქვეშკნელ ჭინჭველას ხმა ვუყო.

—

არ მინდა მთაში მოყვარე,
უდგია სოკო, წიფელი;
ბარათ სჯობიან მოყვარე,
ღვინო უდგია წითელი.

—

ორი ბატონის ყმა ვიყავ,
ხან ის მცემდა, ხან ისა;
ორივ ერთს დღეს დამეხოცნენ,
ხან ის ვიტირე, ხან ისა.

—

უსამართლობა მოილო
წრეულ ხელმწიფემ ქართლშია;
ჯერ-კი გაგვათავისუფლა,
მერე ჩაგვყარა წყალშია;
საქონელი სულ გავყიდე,
ისიც ხომ მივე ვალშია;
ლუკმა პური აღარ მქონდა, ×
რომ ჩამეყარა ჯამშია.

—

კამეჩი ღონიერია,
ულელსა ზიდავს ხისასა,
გაუჭირდება წაილებს
თავისასა და სხვისასა.

—

კამეჩი იწევს, იცოხნის,
თავის ამინდი ჰგონია;
ჩაფლული ლაფში ურემი
შინ მიტანილი ჰგონია.

—

თუშ-მოურავმა ხმალს უთხრა:
ხმალო, ამამყე თანაო;
გული ნუ შეგიშინდება,
მივდივარ ყაენთანაო.

—

თუში ორ ასის მომკვლელი
ურმრობასა ჩიოდა;
თავს ჰქონდა ხმალი ნაცემი,
გულს სისხლი ჩამოსდიოდა.
მე მონადირე მეგონა,
თურმე დაჭრილი სტკიოდა.

—

თუშო, ნუ ჩახვალ ხოშორას,
ხოშორა ეკლიანია,
ჩახვალ და ველარ ამოხვალ,
იქით ამოსვლა ძნელია.

—

დაუკარ, ჩემო ქამანჩა,
პირში არ გიდევ ავშარა...
გადვიდა რუსი იმერეთს,
ფოთი ქალაქი აშალა;
დუქნებს ცეცხლი წაუკიდა,
სარაიები დაშალა.

—

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდგან მოესმოდა რეკა;
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა შექნეს დრეკა;
იალბუზის ეშმაკები
ცხრა მთას იქით გადარეკა.

—

კაცი ცრუ, ამპარტავანი
ურჩობას მოეკიდება,
დედას სცემს, მამას აგინებს,
ცოლს ავად მოეკიდება.

—

გაჯავრდა მეფე ერეკლე,
ცხენს შეჯდა, ხმალი აილო;
გასწია ქვეით ქვეყნებში,
თოფხანა თან არ წაილო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რო წოდებისა, შესანიშნავი როგორც თვისის სწავლით, ისე ზნე-ყოფა-ქცევითაც; მანამ შეადგენდა ფონდს, თანხას ამ სტიპენდიისათვის, ყოველ წლივ ჩემგან მიეცემა მოსწავლეს ექვსი თუმანი (სასწავლებელში ორ გვარი პანსიონერები არიან: სრულის ხარჯისა, ამათ ეძლევათ წელიწადში ექვსი თუმანი, და ნახევარ ხარჯისა, ეძლევათ ოთხი თუმანი). როცა ას ოცს თუმანს შეადგენ და შეიტან ბანკში, მაშინ იმისი სარგებელი, რომელიც შეადგენს წელიწადში ექვსს თუმანს, უნდა ეძლიოს ჩემს სტიპენდიანტსაო. მე ვსთხოვ სასწავლებლის უფროსს ბ-ნ დავით ივანეს ძეს დათოშვილს წარმომადგენოს აქვე ღირსეული მოწაფე, ღირსეული როგორც სწავლა-მეცადინეობით, ისე ზნეობითაც. სასწავლებლის უფროსმა მაშინვე, ეკკლესიაშივე, წარუდგინა მათს მეუფებას მეოთხე კლასის მოწაფე მიხეილ ნიჟარაძე, ღარიბის მედავითნის შვილი, რომლის მამა ემსახურება მედავითნედ სოფელს იტრიაში, სურამს ზემოდ. მოწაფე დალოცა, დაარიგა და იქვე ეკკლესიაში გადასცა ნახევარ წლის ფული—სამი თუმანი. დიდ-ძალი ხალხი, რომლითაც ეკკლესია და მისი დიდი და ფართო გალავანი ავსებული იყო, სიხარულით მიეგება ამ ამბავს.

სადილზედ, რომელიც გამართული იყო ამ დღისათვის, სხვათა შორის დაესწრო ჩვენი ისტორიკოსი და არხეოლოგოსი ბ-ნი დ. ზ. ბაქრაძე. სადილმა მხიარულად ჩაიარა. მღვდელ-მთავარმა მიირთვა ორი სადღეგრძელო: იმპერატორის ალექსანდრე ალექსანდრეს ძისა და შემდეგ ეგზარხოსის პალადისა. „მრავალ-ჟამიერსა“ და სასულიერო საგალობლებს საზღვარი არა ჰქონდა.

საღამოთი ეპისკოპოსი ალექსანდრე თავის ამალით ისევ ტფილისს წავიდა.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო მასალა

(შემდეგი *)

წელიწადსა 1792, ქორონიკონს უპ, თთვესა იანვარს ექვსსა დღესა უფლისა ჩვენისა იესოს განცხადებისასა კელ დასხმულ ვიქმენ მღვდელად უწმიდესობისა მისისა კათალიკოს-პატრიარხის მეფის ძის ანტონისაგან ქალაქსა ტფილისს ეკკლესიასა შინა ქრისტეს შობისასა. ამასვე წელსა თთვესა თებერვალსა იბ, ხუთშაბათსა ყველიერისასა იშევ შენ შვილო ჩემო შიო. ამასვე თთვესა შინა ნათელ ღებულ იქმენ შენ მეფის ძის ალექსანდრესაგან. ამისვე წლისა სივრცესა შინა ვკითხულობდი და ვისწავლე აღჰკსნით ვარლამისაგან წიგნნი ესენი ღრამმატიკა, რიტორიკა, კატიღორია, ლოღიკა და მეტაფისიკა და გარდავწერეცა წიგნნი ესენი თვინიერ კატიღორიისა. ეგრეთვე განვლე წელიწადიცა 1793, ქორონიკონს უპა, კითხვითა და წერითა ზემო ჰკსენებულთა წიგნთათა. ჟამსა ამას ფრიადითა შრომითა მოვირეწდი საზრდელსა და ვცხოვრებდიცა მწირობით რამეთუ არა მაცალებდა კითხვა და წერა ზემო ჰკსენებულთა მათ სასწავლოთა.

არცა მყვანდა ვინმე შემწე კითხვასა შინა და სწავლასა ამათ წიგნთასა. რამეთუ იციან ქართველთა ერმან ესე და აქვსთ მიღებულ ანაგებად, უკეთუ ვისმე იხილევენ ტრფიალად სიბრძნის მოყუარებისა. ნაცვლად შეწევნისა ზედა დასხმენ სიტყვათა გიობისათა და ჰყოფენ საყვედრელ და საკიცხელ. ამასვე წელიწადსა თთვესა სეკდემბერსა კგ მომეცა ღვთისაგან ასული, რომელსა უწოდეთ თეკლა. მოვანათვლინე ესე არხიმანდრიტსა ქვათახევისასა თარხნისშვილს ანტონის.

წელიწადსა 1794, ქორონიკონს უპბ მოვიგე მოძღვრად მასწავლელად ფისიკისა და სამღთოჲსა დამასკელის ოთხ-ნაწილოვან წიგნისა პროტოპაპისიონისა ოსეს ძე იოანე სიმრგულესა შინა ამის წელიწადისასა შევექეც კითხუასა ამათ ორთა წიგნთასა და ვცხოვრებდი ეგრეთვე მწირობით.

ამასვე წელიწადსა შინა თთვესა ოკტომბერსა ებრძანებინა უგანათლებულესსა მეფის ძეს იულონს თავადისა როჭიკაშვილის იოსების პირით კლება ჩემი თვისთანა და მობარება ძეთა თვისთა სწავლად წერილთა. ვინათგან ჰაზრი ჩემიცა იყო რათა მომეგო ვინმე შესავედრებელი და მის ძლით წარმევლო ცხოვრება ჩემი და განრინებულ ვიყავ ფრიადისა მწირობით ცხოვრებისაგან და თქვენ ძეთა ჩემთათვისცა მომეგო საბოლოო რაჲმე ბინაჲ, ამისთვის და კვალად ვინათგან ნიადაგ საკუთარითა ყმობითა ყოფილიყვნენ წინაპარნი ჩვენნი საქართველოს უფლის წულთა ამათ ძლით მორჩილ ქმნილი, ვიახელ უგანათლებულესობასა მისსა მეფის ძესა იულონს და ვმსახურებდი ეზოსა შინა თვისსა მღვდელობით და ძეთა მისთა წიგნის კითხვით. აწ ჟამმან მომცა აღწერად შვილნო ჩემნო ვახსენე რა ნიადაგ ყმობა ჩვენი საქართველოს უფლის წულთა თუ ვინაჲთ არს ადგილობა ჩვენი და ვითარ პაპაჩემი ყოფილარს დგომით დაბასა გომიჯვარსა უფლისწულთაგან გააზატებით და შესაფერისა მოხელობით. ყოფნასა ქართლსა შინა ყიზილბაშთასა და ფლობას მათსა რომლისამე მიზეზით აყრილა მუნით და მისულა სამშვილდეს. მუნ მიუცია აბდულაბეგოს რომელი იყო ტომი ქართველთა მეფის მამული და უცხოვრებია კარსა ზედა თვისსა მამა და ბიძა ჩემი პატივითა და შესაფერითა სახელოებითა. გარნა ვინაჲთგან აბდულაბეგოს დასცალებია მცირე ხანი მუნ და აყრილა სამშვილდეცა ლეკთაგან: განშორებულან მამა და ბიძა ჩემი და უცხოვრიათ თვის თვის თვისად. ბიძა უკუჱ ჩემი დაშთენილა ქალაქს და აღსრულებულა უშვილოდ. ხოლო მამასა ჩემსა უცხოვრია შიდა ქართლს სხვა და სხვათა ადგილთა მწირობით. და სხვასა შემდგომსა ყოველსა ჰსცნობთ წარკითხვითა ამის აღწერილისათა:

წელიწადსა 1795 ქორონიკონს უპგ. ვცხოვრებდი ქალაქსა შინა ტფილისსა. ვმსახურებდი მეფის ძესა იულონს. ვწუხდი წინა თქმულისა მწირობით ცხოვრებისათვის, გარნა შემდგომი მექმნა უძნელეს და უმწარეს:

ამას წელიწადსა წამოვიდა მპყრობელი სპარსეთისა აღამამაჲხან დღე და დღე მოდიოდა ამბავი მოსვლისა მისისა მოვიდა ყარაბაღს და მოადგა შუშას ვერ აღიღო ციხე სიმტკიცისა გამო. სექტემბერს შემოვიდა საქართველოსა შინა დაეცა შიში დიდი ყოველთა ერთა ზედა და უმეტეს ტფილისელთა. ვ. სექტემბერს წარმტაცა სიკვდილმა მცირე ყრმა და თქვენი თეკლა მცირედღა ნაკლები ორისა წლისა: მაგრამ არღარა მაცალა ჟამმან მწუხარებად ამას ზედა ფგან დღესა მეორესა ამისვე თთა რიცხვსა. ტ. მოვიდა აღამჰან იაღლუჯასა ზედა. ღამესა ამაიყარნენ სამეფო ფამილია და წარჩინებულნი ვინცა მყოფ იყვნენ მას ქალაქ ტფილისს შინა და წარვიდნენ სამე მთიულეთს: ეჰა საკვირველი საგლოველი რომელ წარჩინებულ ცოლნიცა მრავალნი ვიდოდეს ფეხითად ვინადგან ვერ შოვობდეს ცხენსა ავდარსა წვიმასა და ტალახშინა მძაფრსა ვინათგან შვიდეულ უმეტესსაცა ჟამსა იყო წვიმა გაულებელი. და ესრედ გავყევ მეცა ინ. მათ მეფის ძის იულონის შეწევს:

ვიაჲ ღამე იგი და დღე მეორე კვირიაჲდღესა მესამესა ორშაბათს ძლივ ძელ მიწევნად დუშეთს: დავჰყავით ღე იგი მუნ. ია. სეკდემბერი დალჲა რა დღე სამშაბათი საღამოს მოვიდა ჰამბავი შესაწუხებელი, გლოველი და სატირელი რომელ მარცხებულ იყვნენ ორნი მეფენი მ ქართველთა და კახთ ირაკლი მეფე იმერთა სოლომონ. ხოლ მას ჟამსა იყო იგიცა მოსულ ჯნითა იმერლისათა შესაწევნელად პისა თვისისა მეფისა ირაკლისა. ეს გამოქცეულნი მეფე ირაკლი წასულიყო კახეთის მხარესა საგურამს და ეგრეთვე მუნიდამ მოვიდა დღესა მესამეს მთიულეთს:

ხოლო მეფმან სოლომონ შევლო ქართლსა ზედ და წარვიდა იმერეთს. მას ჟამსა მოვიდა ღამამადხან ტფილისს შინ ტყვე ჰყო მუნებურნი აღილო ალაფი რამეთუ ყოვლითურთ მუნ დარჩა ხაზინა სამეფო. ნივთნი ეკკლესიასანი, და სიმდიდრე სხვათა ხალხთა და მოქალაქეთა აღურაცხელ: მოწვა ცეცხლითა პალატნი და სახლნი საფონი და სრულიად ტფილისი განუქვა მარბიელნი ვიდრე გორამდე აჰყო დღე ცხრა მდგომმან სოღალუბს და წარვიდა ეგრეთ:

ვაჲ ვაჲ ცოდვათა ჩვენთა სიმრავლესა რაოდენნი ქალწულნი განიხრწნეს რაოდენნი მღუდელნი და მოწესენი მოისრნეს რაოდენნი ტყვე იქმნეს და მიზეზ ექმნათ დატევებად ქრისტესა.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 203.

## უცხოეთი

საფრანგეთი. ქვეყანაიმას ლაპარაკობს, რომ საფრანგეთი თუ ბულანჟეობამ თავი წამოჰყო, გაჩნდა და ერთხანად კიდეც გაძლიერდა, ამისი მიზეზი ერის უკმაყოფილება იყოვო, ერის დრტვინვა და ჩივილიო. უმრავლესობას გაუჭირდა ცხოვრება, ვერ დაიმკვიდრა კაცური, ადამიანური წესი ცხოვრებისა. უმრავლესობა ბევრს მოელოდა რესპუბლიკისაგან, ელოდა დიდს თავისუფლებას წერისასაც, ლაპარაკისასაც. თვით მთავრობა, ლიბერალობით გატაცებული, სამშობლო ქვეყნისთვის გულ-მტკივნეული და მოყვარული მშრომელის ერისა, დიდს სიკეთეს შეგვმატებს, შეძლების ჩვენს ყოფას, ფეხზე დაგვაყენებს ყველასაო. ხელ-მოკლე ხალხს ეგონა, რომ ახალი სარესპუბლიკო წეს-წყობილება მოგვცემს ღონეს, ჩვენც სანატრულად არა გვქონდეს არც რიგიანი ბინა, არც რიგიანი სასმელ-საჭმელი, არც სწავლა-განათლება და არც სხვა გვარი უმაღლესი სიტკბოება სულისა და გულისაო. მაგრამ ყოველივე ეს მოლოდინი არ გამართლდა, რესპუბლიკამ იმედი არ შეგვისრულაო. თითქმის ისეთს ყოფაშივე ვართ, როგორშიაც ვიყავით ძველად, როცა რესპუბლიკის დასაარსებლად ვიბრძოდითო. ამდენმა მოლოდინმა, ამდენმა უნაყოფო ცდამ სული შეგვიწუხა და ახლა აღარა გვჯერა-რა დღევანდელის ჩვენის მოთავეებისა: დალოცვილები, სიტყვით, დაპირებით ბევრს გვეუბნებიან, ბევრს გვპირდებიან და საქმით-კი, ნამდვილად ხეირი არა გამოდის-რაო. უმრავლესობა მაინც ვაი-ვაგლახით ვცხოვრობთ, მოკლებულნი ყოველ გვარ სიკეთესა და კეთილდღეობასაო. ჩვენის ხელ-მოკლეობით ვერც შვილები დაგვიზრდია იმ სკოლებში, რომელიც რესპუბლიკამ მრავლადააშენა, ვერც იმ სიმდიდრისთვის მიგვიწვდენია ხელი, რომელიც უფრო ჩვენის ჯაფითა და ღონით ჩნდება და იბადებაო. ჩვენთვის ახლა სულ ერთია, ვინც უნდა იყოს მეთაური, ოღონდ-კი ეხლანდელები მოგვშორდნენ თავიდამ და ძველები ხომ თვალით ნუ დაგვენახვებიანო. მონარხიელები, ესე იგი ისინი, ვისაც ძველებური დრო უნდათ აღადგინონ, გვძაგან, გვეჯავრებიან, არც გვინდანან მეთაურებად, მაგრამ ეხლანდელი რესპუბლიკის მოთავენიც არაფრად გვეპრიანებიანო. გამოვცადეთ ფლოკეცა, ფერრიცა, გობლეცა, ვალდეკ-რუსსოცა, ლაკრუაცა, კონსტანიცა, როცა მინისტრებად დავსხითო, და ძალიან ნაკლებად შეიტკივეს ჩვენთვის თავი. ეხლა ახლები გვინდანან, თუნდა სახელ-განთქმულნიც ნუ იქნებიან, ეგებ იმათ მაინც მოახერხონ რამე. ბულანჟეს იმედიც არა გვაქვს, იმაზეთაც გული აგვიყარეთ, ვილაც საეჭვო კაცი სჩანსო.

აი ასეთი ლაპარაკი და ჩივილი ისმის დღეს საფრანგეთში. ეს ლაპარაკი და ჩივილი ხან კლებულობს, სუსტდება, და ხან ძლიერებით გაისმის. იანვარში რომ კერძო არჩევანები იყო პარიჟში და ბულანჟეს სახელი ჯერ კიდევ არა ჰქონდა ძლიერ გატეხილი, ათასმა და ათი ათასმა მეკენჭემ იმას მისცა თავისი კენჭი. რესპუბლიკელი კანდიდატი ჟაკი საშინლად დამარცხდა მაშინ. მთელი რესპუბლიკელობა შეფიქრიანდა, საგონებელს მიეცა და ყოველის ღონისძიებით ეცადა ბოლო მოეღო ბულანჟეობისათვის. ეხლა კიდევ მთავრობის მიერ გამართულმა გამოფენამ, და მერე ისეთის ამბით გამართულმა, ცოტათი მიაჩუმა, მიაყუჩა ტკივილი და სიმწვავე უმრავლესობის უკმაყოფილებისა, ჩივილისა და დრტვინვისა, მით უმეტეს, რომ გამოფენამ დიდ-ძალი ხალხი მიიზიდა ყოველ ქვეყნიდამ და ცოტა შესამატი არ შეჰმატა საფრანგეთს. მაგრამ საპარლამენტო არჩევანებზე სექტემბერში ერმა პირი არ დაუკოცნა რესპუბლიკელებს. ბულანჟელები ბლომად გააშავა, მაგრამ არც ძველ რესპუბლიკელებს დააყარა ხეირი. ჟიულ-ფერრი თავის სამშობლო ვოგეზებშიისე გააცურეს, რომ იქნება თავის სიცოცხლეშიაც ველარ გაბედოს კანდიდატად გამოსვლა. ფლოკე არ აირჩიეს პარიჟის მე-XI საარჩევანო უბანში, გობლეც ცარიელზე დასვეს: შენ კარგა ხანს ბრძანდებოდი პალატაში დეპუტატად და ბევრი არა შეგძლებია-რა, დაისვენეო. კლემანსო, ლაკრუა, კონსტანი, ივ გიუო და ბევრნი სხვანიც ამოურჩეველნი დარჩნენ 10 სექტემბრის კენჭის ყრაზე. ეხლა ხელ-მეორე არჩევანებს ელოდნენ 22 სექტემბერს და იმედოვნებდნენ, იქნება მაშინ მაინც გავხდეთ რასმეო. ჯერ-ჯერობით ამ ხელ-მეორედ კენჭის ყრის ამბავი არა მოსულა-რა იმის მეტი, რომ სულ რესპუბლიკელნი 362 კაცია ამორჩეული, ხოლო მოწინააღმდეგენი 205 ამ მოწინააღმდეგეთა შორისაც 100 როიალისტია, 58 ბონაპარტელი და 47 ბულანჟელი. რესპუბლიკელებში ბლომად არიან არჩეულნი ახალი კაცები, რომელნიც არაფრით არა ყოფილან დღემდე შესანიშნავნი...

## წვრილი ამბები

რა ღირს ერთის ჩიტის ბუდეო, კითხულობს ერთი მეურნე და აი თითონვე რა პასუხს იძლევა: ვსთქვათ სოფლის ბავშვმა უბრალო ბეღურას ბუდე დაარბია, ხუთი კვერცხი დასძრა და ამ გვარად ხუთს ბეღურას შეუშალა ხელი გამოჩეკისათვის. თითო ბღარტს დღეში ორმოც-და-ათი მწერი უნდება საჭმელად და ხუთს, მაშასადამე, 250 მოუნდება. ბღარტი ასე საზრდოობს 4, ან 5 კვირას, ვსთქვათ 30 დღე ისაზრდოვა, გამოვა, რომ თითო ხუთკვერცხიანი ბუდე 7,500 მწერს გაანადგურებდა. თითო მწერი დღეში სწორედ იმდენს ფურცელს სჭამს, ან ყვავილს, რამდენსაც თითონ იწონს. ვსთქვათ, რომ მწერმა, გაპეპელავებამდე, 30 დღე ისაზრდოვა. დღეში რომ თითო ყვავილი შეჭამოს, ყვავილი, რომელიც ნაყოფს გამოიღებდა, მაშასადამე 30 დღეში 30 ნაყოფი უნდა შეეჭამა, ხოლო 7,500 მწერს-კი 225,000 ნაყოფი. მაშასადამე, ყმაწვილს რომ ბუდე არ დაერბია, მაშინ მე, ან ჩემს მეზობელს 225,000-ით მეტი ვაშლი, ქლიავი, ალუბალი, ან სხვა რამე ნაყოფი გვექნებოდაო.

— ჟურნალს „La Nature“-ში დაბეჭდილია ერთი ახირებული ამბავი, რომელიც აშკარად ამტკიცებს, რომ ქათამსაც სცოდნია ადამიანის სიყვარული და შეჩვევა. ერთი ყმაწვილი კაცი ქათამს ძალიან ეალერსებოდა თურმე, ყოველ დღე პურსა და სხვა ტკბილეულობას აძლევდა. ცოტა ხანს შემდეგ ქათამი ისე მიეჩვია, რომ სეირნობის დროს უკან დასდევდა ხოლმე. როცა ყმაწვილი კაცი დასასვენებლად ჩამოჯდებოდა სადმე, ქათამი წინ დაუდგებოდა და ხელზედ ნისკარტსა სცემდა ალერსიანად. რამდენისამე ხნის შემდეგ ეს ყმაწვილი კაცი სხვაგან წავიდა, მაგრამ რადგან ქათამს უწინდელებრ კარგად ასაზრდოვებდნენ, საქმე რიგზედ მიდიოდა. როცა ქათამმა შენიშნა, რომ ყმაწვილი კაცი არა ბრუნდებაო, ინაღვლა თურმე, ყოველ დილა მიდიოდა იმ ყმაწვილის კაცის ოთახის ფანჯრის წინ, თავს ფრთის ქვეშ ამოიდებდა და იყო ისე გარინდებული, უჭმელად და უსმელად. ამაოდ აძლევდნენ ტკბილეულობას, ნისკარტს აღარაფერს აკარებდა და აშკარად სჩნდა, რომ ქათამს ნაღვლისა და დარდისაგან შიმშილით თავის მოკვლა მოუნდომებინა.

— პარიჟში ეხლა მეტად გავრცელებულია თურმე ერთი ზმნისზური სიტყვა. აი ეს სიტყვა: „Exposition Internationale Française Fraternité Egalitè Liberté“ (საფრანგეთის საერთა-შორისო გამოფენა, ძმობა, ერთობა, თავისუფლება). პირველი ასოები ამ სიტყვებისა რომ შეაერთოთ, გვარი გამოდის—ეიფელი.

# დეპეშა

24 სექტემბერი

**პეტერბურგი.** საპარტის ჭკრცოგისა და პრინცესა სოფიოს ჯვარის-წერისათვის ათინას პირეაში შეიყრიან თავს: ჯავშნიანი ფრეგატი „Мининъ“, კრეისერი „Адмиралъ Корниловъ“, კანონერკა „Черноморецъ“ და სტანციონერი „პსესუპე“.

**სტოკჰოლმი.** უეცრივ გარდაიცვალა აქ რუსეთის კონსული ბუხაროვი.

**პარიჟი.** როგორც ხელ-მეორედ კენჭის ყრით აღმოჩნდა, ახალს პალატაში იქმნებიან: 362 რესპუბლიკელი და 205 მოწინააღმდეგე ეხლანდელის რესპუბლიკისა. უკანასკნელთა შორის 100 როიალისტია, 58 ბონაპარტელი და 47 ბულანჟელი.

**კოპენჰაგენი.** დღეს დაიწყო კრებანი რეიხსტაგისა.

პეტერბურგის ბირჟა, 22 სექტემბ.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 66 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 153¹/₄ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1 11 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 261¹/₂ |
| —მეორისა | — „ | — „ | 238¹/₂ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | 97 „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | 98¹/₄ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | 83³/₄ | — „ | — „ |

ბამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. . 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. . 3¹/₂ „
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 „
„ „ 2— 4 „
„ „ 3 „ 3¹/₂ „
ჯვარის მამის პურის ღავაში „
1-ლის ხარისხისა . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . 4 „
მე-3 — . . . „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 7 „
ღორის ხორცი . . . „ „
„ 2 „ „ „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შევლით.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შევლით).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

იბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან. ტფილისის საქალაქო გამგეობა ამით აუწყებს ტრაქტირებისა, სასმელ-საჭმელის დუქნებისა და მგზავრთა ჩამოსახდომ ბინების პატრონებს ტფილისის ქალაქისას, რომ იგინი მოვალენი არიან, ტრაქტირის მსგავსის დუქნების დებულ. მე-17 § თანხმად, აიღონ ამ ოქტომბრის განმავლობაში ტფილისის საქალაქო გამგეობისაგან ნება-დართვის მოწმობანი ზემოხსენებულის გვარის დუქნების გამართვისათვის 1890 წელს. ვინც ასე არ მოიქცევა, ისე გაჰმართავს დუქანს და მოწმობის აუღებლად დაიწყებს ვაჭრობას, იმას დუქანი დაეკეტება მომავალის წლის 1 იანვრიდამ, ზემოხსენებულისავე დებულების მე-18 § თანხმად. (1—1)

---

დაიბეჭდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში ახალი ქართული წიგნი:

## ქართული თეატრი

(1879—1889)

ვალერიან გუნიასი.

შინაარსი:

I. სახსოვრად ქართულის სამუდამო სცენის ათის წლის თავისა. II. წინასიტყვაობის მაგივრად. III. ქართულის თეატრის დასაწყისი და იმისი თავ-გადასავალი. IV. ქართული სამუდამო სცენა (1879—1889). V. რა ეჭირვება ქართულს თეატრს. VI. ქართული დრამატურგები. VII. ქართული არტისტები. VIII. დრამატიული ხელოვნება. IX. სასცენო ხელოვნება. X. თეატრის მნიშვნელობა.

ფასი 40 კაპ.

(10—5)

---

## „სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენციასა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის აცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს არ იხდიან.

(52—31)

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ყანნა-დარკ. . . . . . | „ | 5 |
| ბერლინის გარემოცვა. . | „ | 5 |
| ქართული თეატრი . . | „ | 40 |

წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Карав. Сарай Земельн. Банка, № 10)

ისყიდება ყოველ გვარი ...ები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ იპოვება, და გარდა ამისა ახლად... ...ლი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| კაყა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა . . | | 30 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | | 10 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა, იმავ საზოგადოების გამოცემა . . | „ | 20 |
| გრამატიკა, არ. ქუთათელაძესი . . . . | „ | 40 |
| გრამატიკა, ჟორდანიასი . | „ | 55 |
| მიბაძვა ქრისტესი, უყდოდ | „ | 40 |
| ყდით . . . . . | „ | 70 |
| ჩანგი, კრებული ლექსთა და სხვა . . . . . | „ | 70 |
| ანუკა ბატონიშვილი, რ. ...ულოვისა. . . . | „ | 20 |
| ცხოვრება დიდისა მარ... ეგვიპტელისა, გამოც. «საღმრთო წიგნთ-საკ... ხავისა» . . . . . | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . | „ | 20 |
| გენათის მონასტერი, გამოც. დამბაშიძისა . . . . . | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, გამ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა . . . . | „ | 50 |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. დამბაშიძისა . . . . . | „ | 25 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯავახიშვილისა . | „ | 40 |
| დედაკაცის ხვედრი ნამბობი გლეხ-კაცის ქალისა, თარგმანი ი. რამიშვილის მიერ . | „ | 15 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოსის გამოც. . . . | 3 | „ |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | „ | 50 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეკ. გაბაშვილისა . . | „ | 10 |
| გულლივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გუნიასშვილისა . . . . . | „ | 15 |
| ბუნების მოყვარენი, ს. მესტიაშვილისა . . . . | „ | 15 |
| თამარიანი, გუნიავასი . . | „ | 50 |
| ლექსიკონი, ჩუბინაშვილისა II ნაწილი . . . . . | 3 | „ |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა დამბაშიძისა . . . | „ | 5 |
| დარგვება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. ტატამის მიერ . | „ | 5 |
| თამარიანი, გალექსილი გუგუნავასი . . . . . . | „ | 50 |
| პატარა მოამბე, ა. მირიანაშვილისა. . . . . | „ | 10 |
| გრიგოლ ორბელიანის ლექსები . . . . . . | „ | 50 |
| ნ. ბარათაშვილის ლექსები | „ | 40 |
| სამის თავ-გადასავალი, მოთსამი კომედია, ა. ცაგარლისა . | „ | 60 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ | 30 |

---

კერძო ექიმი

## პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნეულებას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაშაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესაყრელში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად. (14—7)

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვეით . . . | 10 მ.—კ | 6 თვეით . . . | 6 მ.—კ |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 » . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 » . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 » . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 » . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 » . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგი თვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, თ. გრუზინსკის სახლში.

---

## დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალს,—ცამეტ შაურად (65. კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, **გასაგზავნი ხარჯი** თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:

**Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 112.**

Дов. ценз. Тифлисъ 27-го Сентября, 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე